

მთა-მდელოს შავმიწისებრი - Tschernosemartige Bergwiesenböden

მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგებს უკავიათ 132.940 ჰა, რაც ქვეყნის ფართობის 2,0 % შეადგენს. გავრცელებულია სამხრეთ საქართველოში სუბალპურ და ალპურ ზონებში ზღვის დონიდან 1800 მეტრის ზემოთ. ეს ნიადაგები ესაზღვრება ნივალური სარტყლის პრიმიტიულ, სუბალპური და ალპური სარტყლის მთა-მდელოს და სუბალპური სარტყლის მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს. ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით. პროფილის შენებაა: $A_1^1 - A_1^{11} - BC$ ან $A_1^1 - A_1^{11} - B - BC$. მისი ძირითადი დიაგნოსტიკური მახვენებელია კარგად გამოსატყული მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე. ნიადაგი ხასიათდება სუსტად მჟავე რეაქციით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით და ღრმა ჰუმუსირებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,11-1,26 ფარგლებში, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, შთანქმის მაღალი, არამაძვრობით. ნიადაგები მდიდარია (0-10) და საშუალოდ უზრუნველყოფილია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, მდიდარია (0-10) და საშუალოდ უზრუნველყოფილია (10-20) შთანქმეული ფოსფორით და საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) და ღარიბია (10-20) გაცვლითი კალიუმით. კორდის დარღვევის (ძირითადად მოუწესრიგებელი ძოვებისას) შემთხვევაში იზრდება ეროზიული პროცესების საშიშროება.

Tschernosemartige Bergwiesenböden finden sich auf einem Gebiet von 1329,4 qkm, das entspricht 2,0% des gesamten Territoriums. Die Böden sind verbreitet in der subalpinen und alpinen Zone im Südteil von Georgien. Die Meereshöhe beträgt mehr als 1800 m. Diese Böden sind sowohl vergesellschaftet mit einfachen Bergwiesenböden des subalpinen bis hin zum alpinen Gürtel als auch mit Bergwaldwiesenböden des subalpinen Bereichs, sie sind charakterisiert durch ein wenig differenziertes Profil und einen mächtigen Humushorizont. Der Profilaufbau ist: $A_{11} - A_{111} - BC$ oder $A_{11} - A_{111} - B - BC$. Hauptdiagnostisches Merkmal dieser Böden ist ein gut ausgeprägter Humushorizont geringer oder mittlerer Tiefe. Die Böden sind charakterisiert durch eine schwach saure Reaktion, durch einen hohen Gehalt an Humus, einen tiefreichenden Humushorizont, einen hohen Gehalt an hygroscopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,11-1,26g/ccm, eine lehmige oder tonige Textur, ungesättigt. Die Böden sind reich (0-10cm) bis mittel (10-20cm) versorgt mit hydrolisierbarem Stickstoff, sind reich (0-10cm) bis mittel (10-20cm) versorgt mit mobilem Phosphor und mittel (0-10cm) versorgt und arm (10-20cm) mit austauschbarem Kalium. Im Falle der Schädigung der Grasnarbe (hauptsächlich durch Überweidung) nimmt die Gefahr der Erosion zu.

